ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №33

13 დეკემბერი 2023 წელი

14:00 საათი

ა/წ 13 დეკემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ირაკლი ხელაძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ლევან აბაშიძე;
5. ნათია მოდებაძე;
6. მამუკა გუგეშაშვილი;
7. ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ანგარიში.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი, მისი მოცულობა განისაზღვრა 1 763 354,7 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 632 132,6 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 131 222,1 ათასი ლარით, ხოლო 2024 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (1 700 912,4 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 62 442,3 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის" მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 8 ნოემბერს მიღებული წერილის (N04-03/87987) გათვალისწინებით, რომლის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით დამატებით გამოეყოფა 60,000.0 ათასი ლარი, ხოლო მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა მცირდება 145.4 ათასი ლარით. ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყოფა სხვა კაპიტალური გრანტების სახით 2,000.0 ათასი ლარი თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) და თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად. გარდა ამისა, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტისგან განსხვავებით, წარმოდგენილ პროექტში განისაზღვრება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 465.3 ათასი ლარის ოდენობით (საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის" განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ). ასევე, დაზუსტდა სხვა შემოსავლების ჯამური მოცულობა 122.4 ათასი ლარით და განისაზღვრა - 280,683.0 ათასი ლარის ოდენობით (მათ შორის იზრდება მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 99.8 ათასი ლარით, ხოლო შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 22.6 ათასი ლარით).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 763 354,7 ათას ლარს, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 632 132,6 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 131 222,1 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის წინა ვერსიასთან (1 700 912,4 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 62 442,3 ათასი ლარით, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განსაზღვრულია 154 920,1 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (144 160,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 10 759,4 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 32 783,0 ათასი ლარი, მათ შორის გრძელდება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, სახსრების ენდოპროტეზირების, დაავადებათა სკრინინგის და

ტრანსპლანტაციის დაფინანსება. სოციალური დაცვის პროგრამისთვის ჯამში გათვალისწინებულია 122 137,1 ათასი ლარი. გრძელდება შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება: კომუნალური სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შინმოვლის თანადაფინანსება, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში და სხვა;

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 567 498,1 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (522 096,4 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 45 401,7 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (542 391,1 ათასი ლარი) მიმართებაში - 25 107,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: პრიორიტეტის ფარგლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 23 107,0 ათასი ლარი, მათ შორის რაიონების გზების მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებისთვის ჯამში - 3 107,0 ათასი ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 1 000,0 ათასი ლარი (თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად), მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა - 1 000,0 ათასი ლარი 5 (თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად);

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 267 969,4 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (243 813,7 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 24 155,7 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (223 111,1 ათასი ლარი) მიმართებაში - 44 858,3 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - 4 000,0 ათასი ლარი (სოფელ დიღმის და სვანეთის უბნის საკანალიზაციო ქსელების და წყალარინების მოწყობა-რეკონსტრუქცია); კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები - 9 000,0 ათასი ლარი (ქვათაცვენის საწინაარმდეგო ბადეების მოწყობა), კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 16 393,0 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა - 15 465,3 ათასი ლარი (რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია და №6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის" განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ);

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 221 611,1 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (211 901,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 9 709,4 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (213 611,1 ათასი ლარი) მიმართებაში - 8 000,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: 300 არაგველის მემორიალთან არსებული (სკვერი) შუა გამყოფი ზოლი - 2 000,0 ათასი ლარი, ქინძმარაულის შესახვევი N30 კორპუსის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - 1 000,0 ათასი ლარი, კონტეინერების შეძენა - 5 000,0 ათასი ლარი;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2 153,5 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში გაიზარდა ბიზნესის სტიმულირება პროგრამის ფარგლებში გამოფენა გაყიდვა თბილისის საშობაო ბაზარი - 274,0 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება განსაზღვრულია 38 796,3 ათასი ლარით, პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავების შეკეთება (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა), ლიფტების მიმდინარე შეკეთება და რეაბილიტაცია, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობების შეკეთება, სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები და სხვა ღონისძიებები; განათლება დაიგეგმა - 248 047,1 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (225 917,8 ათსი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 22 129,3 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 207 358,8 ათასი ლარის ოდენობით (გრძელდება დაწყებული პროექტების დაფინანსება, მათ შორის: ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების ადგილას ახლის მშენებლობა და ავარიული ბაღების გამაგრება/რეაბილიტაცია: დასრულდება 2 ბაღის მშენებლობა და 1 ბაღის კაპიტალური რეაბილიტაცია, დაიწყება 50-ე ბაგა-ბაღის შენობის ადგილას ახალი ბაღის მშენებლობა), გაგრძელდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსება: სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა, იურიდიული კლინიკა და სხვა;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 35 534,7 ათასი ლარით. გაგრძელდება კულტურის ობიექტების (თეატრები, მუზეუმი, გალერეა, საბალეტო დასი, ბიგ-ბენდი, პანთეონი) დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების და მწვრთნელთა მხარდაჭერა, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, სპორტული დაწესებულებების მატერიალურტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (დასრულდება მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობა და 2 ცენტრის აღჭურვა), კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (მათ შორის ოთარ თაქთაქიშვილის სახ. N19 ხელოვნების სკოლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება), მუზეუმების გაერთიანების ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ილია ჭავჭავაძის სახლ მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება და დაიწყება თოჯინების მუზეუმისათვის გამოყოფილი სივრცის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები; დაიწყება ფიზიკური დატვირთვების სკრინინგი (სპორტულ ცენტრებში 18 წლამდე ასაკის ბენეფიციართა ფიზიკური დატვირთვების და ჯანმრთელობის სკრინინგი). ასევე, 7 გათვალისწინებულია სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და სხვა;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 7 297,0 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამები: თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 1 817,1 ათასი ლარით და ცხოველთა მონიტორინგი - 5 479,9 ათასი ლარით;

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 219 527,4 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრულია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი - 4 000,0 ათასი ლარის ოდენობით და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) - 2 940,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს

სადგურების სესხის მომსახურება - 7 590,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი - 4 917,0 ათასი ლარი თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება - 12 895,7 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება 20 567,1 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა - 29 821,2 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლისათვის იგეგმება გარდამავალი თავისუფალი ნაშთი 60 000,0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც გადანაწილდება შემდეგ მიმართულებებზე: ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური - 10 000,0 ათასი ლარი, პრიორიტეტის ფარგლებში საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია პროგრამისათვის გამოიყოფა 5 000,0 ათასი ლარი, მათ შორის საყრდენი კედლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია ღონისძიებებისათვის - 2 000,0 ათასი ლარი, მუხიანის აგარაკების კანალიზაცია - 3 000,0 ათასი ლარი; გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაციის პროგრამისათვის 5 000,0 ლარი. გარემოს დაცვის სამსახური - 31 000,0 ათასი ლარი, მათ შორის სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა 6 000,0 ათასი ლარი, ვერის ბაღის რეაბილიტაცია 10 000,0 ათასი ლარი, ვაკის პარკის დასრულება - 10,000.0 ათასი ლარი და გლდანის ტბა - 5,000.0 ათასი ლარი. კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური - 19 000,0 ათასი ლარი, შემდეგ პროგრამებზე: ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების დემონტაჟი/ ახლის მშენებლობა და გამაგრება/რეაბილიტაცია, მათ შორის: #28 საბავშო ბაგა-ბაღის შენობის ადგილას ახალი შენობის მშენებლობა, #43 საბავშო ბაგა-ბაღის შენობის ადგილას ახალი შენობის მშენებლობა, #77 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია, #122 იმედი საბ. საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია, დაშენება, #39 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია, #161 ნასაგური საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია, #196 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია, #211საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია და #37 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია; სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია - 1,000.0 ლარი, სკეიტპარკების მშენებლობა - 1,000.0 ლარი; სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა - 5,000.0 ლარი (თბილისში, დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები).

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს მამუკა გუგეშაშვილმა და ვახტანგ სურგულაძემ ხოლო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

2. აქვე, წარმოდგენილი იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხი, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა წარმოადგინა. დადგენილების პროექტის თანახმად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტი) მიხედვით, ცვლილება შედის ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29

დეკემბრის N20-122 დადგენილების პირველი მუხლის ,,გ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში" (დანართი N3) (შემდგომში - წესი) და ემატება მე-9 [1] მუხლი.

პროექტის მიხედვით, წესს ემატება მე-9 [1] მუხლი, რომლის მიხედვითაც, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, უფლებამოსილი იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის (კოდი: 06 01 06)" (შემდგომში – ქვეპროგრამა) მიმწოდებლად ჩართვის ნება მისცეს დაწესებულებას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ისეთ სავალდებულო კრიტერიუმებს, როგორებიცაა ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყველა მომსახურების განხორციელების სულ მცირე 1 წლიანი გამოცდილების ქონა და 1 წლის განმავლობაში აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე სულ მცირე 20 ბავშვისათვის მომსახურების უწყვეტად მიწოდება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. აღნიშნული კრიტერიუმები არ ითვალისწინებს ახალი სამედიცინო დაწესებულებების ჩართვას ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლად, მაშინაც კი, როდესაც დაწესებულების პერსონალს აქვს ბენეფიციარებისთვის მომსახურების უწყვეტად მიწოდების მრავალწლიანი გამოცდილება. ახალი სამართლებრივი ფორმით სამედიცინო ცენტრის ჩამოყალიბება შეუძლებელს ხდის მომსახურების განხორციელების 1 წლიანი გამოცდილების არსებობის დადგენას, რადგან, აღნიშნული ხორციელდებოდა სხვა საფირმო სახელწოდების და იურიდიული პირის მიერ.

ვინაიდან, აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვებში ვლინდება აუტიზმის ძირითადი ნიშნებსა და სიმპტომებს მიკუთვნებული სოციალური ინტერაქციისა და კომუნიკაციის სირთულები და ცვლილებებისადმი რეზისტენტობა, მოსარგებლეების/მათი კანონიერი წარმომადგენლების ინტერესში შესაძლოა შედიოდეს ისეთ მულტიდისციპლინურ გუნდთან ურთიერთობის გაგრძელება, რომელთანაც მოსარგებლეს აქვს გარკვეული ტიპის მიჯაჭვულობა, შესაძლოა სწორედ აღნიშნული ფაქტორით იყოს განპირობებული სამედიცინო დაწესებულების ქვეპროგრამაში ჩართვა. ასეთი განსაკუთრებულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი მიმდინარე წლის სექტემბერში, როცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფმა მრავალპროფილურმა დაწესებულებამ „ბავშვის განვითარების ინსტიტუტმა" შეწყვიტა ფუნქციონირება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაკვეთით მომზადებული დასკვნის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, უნიცერსიტეტის C კორპუსი არ აკმაყოფილებს სეისმომედეგი ნაგებობის მოთხოვნებს და ავარიულია. გაჩნდა აღნიშნული დაწესებულების ბენეფიციარებისთვის ალტერნატიული ფართის შეთავაზების საჭიროება, რათა არ წარმოიშვას შეფერხება ქვეპროგრამის განხორციელების პროცესში და არ შეიზღუდოს ბენეფიციართა უფლებები.

2023 წლის 5 დეკემბრიდან სს „ევექსის კლინიკების" (ს/კ405327427) მიერ გაიხსნა და მის მართვის ქსელში შევიდა ახალი სამედიცინო დაწესებულება „კარავი" - ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრი. აღნიშნული ცენტრი, მოემსახურება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვის განვითარების ინსტიტუტის" ბენეფიციარებს, ქვეპროგრამის - ფარგლებში. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ცენტრის პერსონალი თითქმის სრულად დაკომპლექტებული იქნება ყოფილი „ბავშვის განვითარების ინსტიტუტის" პროფესიონალი თერაპევტებით, რომელთაც აქვთ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყველა მომსახურების განხორციელების შესაბამისი გამოცდილება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფმა მრავალპროფილურმა დაწესებულებამ „ბავშვის განვითარების

ინსტიტუტმა“ უნივერსიტეტის დაკვეთით მომზადებული დასკვნის საფუძველზე მიმდინარე წლის სექტემბერში ფუნქციონირება შეწყვიტა. დასკვნის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის C კორპუსი ავარიულია და სეისმომედეგი ნაგებობის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს და ამ ყოველივემ აღნიშნული დაწესებულების ბენეფიციარებისთვის ალტერნატიული ფართის შეთავაზების საჭიროება წარმოშვა, რათა ქვეპროგრამის განხორციელების პროცესი არ შეფერხებულიყო და ბენეფიციართა უფლებები არ შეზღუდულიყო. აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა საჭიროებებიდან გამომდინარე და მათი აბილიტაციის პროცესის უწყვეტობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ ცვლილება შეგვაქვს, რომლის თანახმად, „ევექსის“ ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრი „კარავი“ თბილისის მერიის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“ პროგრამაში ჩაერთვება, რომლის ფარგლებშიც ბავშვები და მოზარდები თერაპიულ მომსახურებას და სისტემაში მოყვანილ სერვისს მიიღებენ. ბავშვთა ჰარმონიული ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი გარემოს შექმნა. ხარისხიანი სამედიცინო სერვისების განვითარება და მათი ხელშეწყობა ჩვენი ჯანდაცვის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. წარმატებებს ვუსურვებ ყველას ამ კეთილ საქმეში,ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ დადგენილების პროექტს.
აქვე, თბილისის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მუშაობის ანგარიშიც წარუდგინა,

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: დაავადებათა სკრინინგი (პროგრამული კოდი 06 01 02)

პრეკანცერული პათოლოგიებისა და სიმსივნის ნაადრევ სტადიაზე გამოვლენა ხელს უწყობს ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობის ამაღლებასა და პაციენტთა სიცოცხლის გახანგრძლივებას. ამიტომ კიბოს გამოვლენის მიზნით ჩატარებული სკრინინგული კვლევები მნიშვნელოვნად შეამცირებს ონკოლოგიური დაავადებებით გამოწვეულ სიკვდილობას. აღნიშნულის გათვალისწინებით ქვეპროგრამის ფარგლებში სამიზნე პოპულაციაში სრული დაფინანსებით ხორციელდება: ძუძუს კიბოს სკრინინგი, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, კოლორექტული კიბოს სკრინინგი, პროსტატის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს გამოკვლევები, ოპორტუნისტული და ორგანიზებული მოდელით. პროგრამის მიზანია სამიზნე პოპულაციაში კიბოს ადრეული გამოვლენის მაჩვენებლის გაზრდის გზით, კიბოთი გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 02	დაავადებათა სკრინინგი	1 691.1	1 689.1	99.9%	

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 03)

პროგრამა გულისხმობს გადამდებ დაავადებათა პრევენციას, გადამდებ დაავადებებათა აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობის განხორციელებას, მოსახლეობის იმუნოპროფილაქტიკის ორგანიზების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, ცხოველთა მიერ დაზარალებული მოსახლეობის ეპიდზედამხედველობას და ანტირაბიული სამედიცინო დახმარების მიწოდების ხელშეწყობას, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის ნოზოკომიური ინფექციების პრევენციის და კონტროლისათვის რეკომენდაციების მიწოდებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზებას. გადამდებ დაავადებათა დროული გამოვლენა, ეპიდკერებში დროული და ადექვატური პროფილაქტიკური ღონისძიებების ორგანიზება-გატარება უზრუნველყოფს დაავადებებზე ეპიდსიტუაციის კონტროლს, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. პროგრამის მიზანია ქ.თბილისში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 03	გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამა	4 83,7	4 77,0	98.6%	

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 04)

ბოლო წლებში საგრძნობლად მოიმატა სახსრების ართრიტით დაავადებულ პირთა რაოდენობამ და შესაბამისად, გაიზარდა მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების ოპერაციების რაოდენობამ. პროგრამა გულისხმობს მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე პირებისათვის ოპერაციის დაფინანსებას. პროგრამის მიზანია სახსრების ართრიტის მქონე ბენეფიციარებისათვის, რომლებიც საჭიროებენ მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირებას, ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცა 61 საგარანტიო ფურცელი 351 098 ლარზე. შესრულებული სამუშაოს წარმოდგენა განხორციელდება მომდევნო კვარტალში

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 05)

გაფანტული სკლეროზი ქრონიკული, პროგრესირებადი ნევროლოგიური დაავადებაა და მსოფლიოში დაახლოებით 2.3 მილიონი ადამიანია დაავადებული ამ პათოლოგიით. პირველი სიმპტომები უპირატესად 20-დან 40 წლის ასაკის პერიოდში ვლინდება და ამიტომაც გაფანტული

სკლეროზი არატრავმული უნარშეზღუდულობის ძირითადი მიზეზია ახალგაზრდა ასაკის პაციენტებში. პროგრამა გულისხმობს გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტებისათვის მედიკამენტების - ოკრელიზუმაბის, ფინგოლიმოდის, მკურნალობის კურსის დაფინანსებას. ქვეპროგრამის მოსარგებლეებისათვის ასევე განხორციელდება მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიის (ქიმიური აგენტების გამოყენებით) დაფინანსება. პროგრამის მიზანია გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტებისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის და მონიტორინგის კვლევების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 05	გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსება	1 871.3	1 630.9	87,2%	

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 06)

პროგრამა გულისხმობს მიმწოდებლის მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლის და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, რაც მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის, ერთიანი საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი ანალიტიკოსი, მეტყველების თერაპევტი, შემთხვევის მენეჯერი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს, 20 ინდივიდუალური სეანსის დაფინანსებას, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად (მ.შ.გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა). პროგრამის მოსარგებლეებს წარმოადგენენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედი რეგისტრაციის მქონე 2-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც ძირითად დიაგნოზად გააჩნიათ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0; F84.9) ჯგუფის დიაგნოზი. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მულტიდისციპლინური გუნდის, ერთიანი საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი ანალიტიკოსი, მეტყველების თერაპევტი, შემთხვევის მენეჯერი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს 20 (მინიმუმ ერთსაათიანი) ინდივიდუალური სეანსი.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 06	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა	6 916.8	6 521.1	94,3%	

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 07)

ძუძუს კიბო ყველაზე გავრცელებული ავთვისებიანი სიმსივნეა ქალებში. იგი ქალთა 10%-ს უვითარდება სიცოცხლის განმავლობაში. ყოველწლიურად საქართველოში 1200 შემთხვევა რეგისტრირდება. აღსანიშნავია, რომ დაავადების ინციდენტობა მსოფლიოში იზრდება, რაც ზოგადად ონკოლოგიური დაავადებებისათვის დამახასიათებელი ტენდენციაა, თუმცა სკრინინგისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გამოყენების შედეგად ძუძუს კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა კლებულობს. რისკის კატეგორიების შეფასების თვალსაზრისით აღსანიშნავია HER2-დადებითი ძუძუს კიბო, ვინაიდან ამ რეცეპტორის ჭარბი ექსპრესია, რომელიც ძუძუს კიბოს ქალთა დაახლოებით 20-25%-ს აღენიშნება ასოცირებულია დაავადების სწრაფ პროგრასირებასთან და სწრაფ პროგრესთან. პროგრამა გულისხმობს ადრეული HER2-დადებითი ძუძუს კიბოს (I-III სტადია) მქონე პირებისათვის ტრასტუზუმაბის, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში - ტრასტუზუმაბის ან პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბის ან ლაპატინიბის ან ფესგოს დაფინანსების უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში მოხდება პაციენტთათვის დანიშნულების შესაბამისად აღნიშნული პრეპარატის საჭირო რაოდენობის დაფინანსება. პროგრამის მოსარგებლეებს წარმოადგენენ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი, რომლებსაც უტარდებათ ნეოადიუვანტურ/ადიუვანტური მკურნალობა. პროგრამის მიზანია ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და სრულფასოვანი მკურნალობის სრული კურსის ჩატარების უზრუნველყოფა.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 07	ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება	4 783.9	4 012.4	83.9%	

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 08)

სიხშირის მიხედვით, ფსიქიკური აშლილობები საკმაოდ გავრცელებულია და უკანასკნელი მონაცემებით მოსახლეობის 9.1%-სა და 16.1% შორის მერყეობს. სიკვდილიანობის მხრივ, ამ მდგომარეობების წვლილი დაავადების ტვირთის წლებში 8.1%-ია. თემში არსებული ფსიქიატრიული დახმარების გუნდი თემზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში უპირველესია. საერთაშორისო კვლევებითაა დამტკიცებული თემზე დაფუძნებული ფსიქიატრიული სერვისების ეფექტურობა. პროგრამა გულისხმობს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სათემო მომსახურების მიწოდების დაფინანსებას. პროგრამის მოსარგებლეებს წარმოადგენენ ფსიქიკური ან/და ქცევითი აშლილობის მქონე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მქონე საქართველოს მოქალაქეები. პროგრამის მიზანია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 08	ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება	650	561,1	86,3%	

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 13)

ძვლის ტვინისა და ღვიძლის ტრანსპლანტაცია შესაბამისი დაავადებების მქონე პაციენტებისათვის ხშირად გადარჩენის უალტერნატივო მეთოდს წარმოადგენს. პროგრამა გულისხმობს ონკოჰემატოლოგიური დიაგნოზის მქონე პირებისათვის მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიის, ტრანსპლანტაციის წინა კვლევების, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისა და ტრანსპლანტაციის შემდგომ სტაციონარული მეთვალყურეობის დაფინანსებას და ასევე, ღვიძლის დაავადებების მქონე პირებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსებას. პროგრამის მიზანია ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე ბენეფიციარების, რომლებიც საჭიროებენ ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაციას, ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2023 წლის იანვარი-სექტემბრის თვეებში აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის კომპონენტში ჯამში დაფინანსდა 89 შემთხვევა. ხოლო ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტში 4 შემთხვევა.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

06 01 13	ტრანსპლანტაციი ს ქვეპროგრამა	7 110.0	6 252.3	87.9%	

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: კომუნალური სუბსიდირება (06 02 01)
სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიერ მოწოდებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებულ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს და მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული აბონენტის ნომერი, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში მოქცეულია, როგორც სამომხმარებლო სექტორის აბონენტი/მომხმარებლი იანვარში, თებერვალში, მარტში, აპრილში და დეკემბერში დაერიცხებათ სუბსიდია დასუფთავების მოსაკრებელზე, წყლისა და ელექტროენერგიის გადასახადზე. ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს სუბსიდიის ჯამური ოდენობა შეადგენს თვეში არაუმეტეს 106 ლარს, ხოლო იმ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა მეტია 70 000-ზე და არ აღემატება 200 000-ს სუბსიდიის ჯამური ოდენობა შეადგენს თვეში არაუმეტეს 20 ლარს. სუბსიდიის ოდენობა და დარიცხვის წესი განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით. გაანგარიშება:

ა) დასუფთავების მოსაკრებელზე;

ა.ა) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ერთი პირი 2,5 ლარის ოდენობით;

ა.ბ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ორი პირი 5 ლარის ოდენობით;

ა.გ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია სამი პირი 7,5 ლარის ოდენობით;

ა.დ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ოთხი და მეტი პირი 10 ლარის ოდენობით;

ბ) წყლის გადასახადზე 3,89 ლარის ოდენობით;

გ) ელექტროენერგიაზე, აბონენტის მიერ, ფაქტიურად მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების შესაბამისად.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 01	კომუნალური სუბსიდირება	8,200.1	8,183.6	99.8%	

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (06 02 02)
ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. გაეროს ბავშვთა ფონდი მიერ ჩატარებული კვლევების შესაბამისად ბოლო წლებში მცირედ გაზრდილია სიღარიბე ბავშვიან ოჯახებში, აღნიშნული ოჯახების საკმაოდ დიდი ნაწილი ქ.თბილისში მცხოვრები ოჯახებია. აქედან გამომდინარე, მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი ამოცანაა მათი სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე. ამ მიზნით „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზა"-ში 70 000 და ნაკლები

სარეიტინგო ქულით რეგისტირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი), 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე განხორციელდება ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა 50 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით გაეწია: იანვარში 20574-ბავშვს, თებერვალში - 20 395 ბავშვს, მარტში - 20 229 ბავშვს, აპრილში - 20226 ბავშვს, მაისში - 20 296 ბავშვს, ივნისში - 20303 ბავშვს, ივლისში - 19753 ბავშვს, აგვისტოში 19980 ბავშვს, სექტემბერში - 19702 ბავშვს.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (06 02 03)
საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასულ 4 ბენეფიციარს, რომლთა მომსახურების გაწევისთვის 10500 ლარი გადაერიცხა ა.ა.ი.პ. ასოციაცია საქართველოს SOS ბავშვთა სოფელს.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკურორტო მომსახურება (06 02 04)
საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 1 შტატგარეშე მოსამსახურის ხელფასის ანაზღაურება - 14 400 ლარი.
ანაზღაურებული იქნა **1573 საკურორტო ვაუჩერი ჯამში 1 258 316,76 ლარის** ოდენობით **სულ ჯამში: 1 272 717 ლარი**
ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (06 02 05)
49 მოქალაქის პირად ანგარიშზე ჩარიცხულია 1000 ლარი, როგორც პროგრამის ფარგლებშია განსაზღვრული, მათ შორის ორ ბენეფიციარს ჩაერიცხა წინა წლის თანხაც 1000 ლარის ოდენობით. სულ 48 ბენეფიციარისათვის გადარიცხული თანხა სულ შეადგენს 50 000 ლარს.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება (06 02 08)
საანგარიშგებო პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში თანხა გადარიცხული იქნა 43 014 შემთხვევის ასანაზღაურებლად. ხარჯი შეადგენს 6 811 458 ლარს.
საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 2 შტატგარეშე მოსამსახურის ხელფასის ანაზღაურება 16 000 ლარი. **სულ ხარჯმა შეადგინა 6 827 458 ლარი.**

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (06 02 09)
„სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის" თანახმად, ძირითადი მოთხოვნა დაფიქსირდა მედიკამენტების, ოპერაციული მკურნალობის და სხვა სამედიცინო მომსახურებების დაფინანსებაზე. სულ გადარიცხულია 9 123 800 ლარი. 2 151 553 ლარით დაფინანსდა 2 120 ბენეფიციარის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, 6 890 340 ლარით დაფინანსდა 8 850 ბენეფიციარის ოპერაციული მკურნალობა, ხოლო 81 905 ლარით - 508 ბენეფიციარის სხვა სამედიცინო მომსახურებები.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ომის ვეტერანთა დახმარება (06 02 10)

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა (06 02 13)

საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია ხანდაზმულთა დღის ცენტრის კომუნალური ხარჯები 1 394,88 ლარით (ყოველდღიურად მომსახურებას იღებს 35-40 ბენეფიციარი). კერძოდ, 952,5 ლარი გადაირიცხა შპს „ვარკეთილაირში", 137,21 შპს "თბილსერვის ჯგუფში", 173,11 ლარი შპს „თელმიკოში", შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ში 132,06 ლარი.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: მიუსაფარ პირთა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (06 02 21)

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 21	მიუსაფარ პირთა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა	1 316.0	1 204.4	91.5%	

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (06 02 22)

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან" მოწოდებული, ქ. თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზის" მიხედვით, 150 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში რეგისტრირებულ, 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისათვის, დადგენილი წესით გაიცა 2022 წლის დეკემბრის თვის კუთვნილი ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით 91 ბენეფიციარისათვის, მათ შორის 21 ბენეფიციარისათვის ასევე გაიცა 2022 წლის მაისის კუთვნილი 400 ლარიც. სულ ხარჯმა შეადგინა 44 800 ლარი.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ,,ვორლდ ვიჟენის" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება (06 02 23)

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში ,,ვორლდ ვიჟენ საქართველოს ფონდს" საანგარიშო პერიოდში (იანვრიდან და აგვისტოს თვის ჩათვლით) აუნაზღაურდა შესრულებული სამუშაოს ღირებულება, ყოველთვიურად - 7 260.00 ლარის ოდენობით გარდა აგვისტოს თვისა. აგვისტოში სააღმზრდელო პროცესი შეჩერებულია და მემორანდუმის თანახმად ანაზღაურდა - 4810 ლარი. პროგრამა გულისხმობს, 09.01.2023 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, №107-ე ბაღის ტერიტორიაზე არსებულ დღის ცენტრში ჩარიცხულ ბავშვზე ზრუნვას.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (06 02 24)

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან" მოწოდებული, ქ. თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზის" მიხედვით, 150 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში რეგისტრირებულ, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირებისათვის, დადგენილი წესით გაიცა 2022 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება. ქვეპროგრამით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ბენეფიციარი წლიურად იღებს 900

ლარის ფულად დახმარებას სამ ეტაპად, 300 ლარის ოდენობით თითოეულ ეტაპზე. მომსახურე ბანკიდან ბენეფიციართათვის გახსნილი ანგარიშების შესახებ ინფირმაცის მიღების შემდეგ, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 12 ბენეფიციარი. მათ შორის 1 პირისათვის გაიცა სამი თვის კუთვნილი თანხა თვეში 300 ლარის ოდენობით, ხოლო 9 პირისთვის კი ერთი თვის კუთვნილი თანხა. სულ ხარჯმა შეადგინა 3 600 ლარი.
589 ბენეფიციარისათვის გაიცა 2023 წლის მაისის კუთვნილი 300 ლარი, 176 700 ლარის ოდენობით.
591 ბენეფიციარისათვის გაიცა 2023 წლის აგვისტოს კუთვნილი 300 ლარი, 177 300 ლარის ოდენობით.სულ ხარჯმა შეადგინა 357 600 ლარი.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (06 02 25)
საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება 500 ლარის ოდენობით გაეწია 546 ოჯახს (546 ბავშვს), რომელთაც შეეძინათ ახალშობილი, მათ შორის: 243 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება პირველი ან მეორე შვილისათვის; 158 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება მე-3 შვილის შეძენისათვის; 90 ოჯახს - მე-4 შვილის, ხოლო 55 ოჯახს მე-5 და მეტი შვილის შეძენისათვის.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: შინმოვლის თანადაფინანსება (06 02 26)
საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშის საფუძველზე ანაზღაურდა შესრულებული სამუშაოს ღირებულება: ,,დიაკვნის ევანგელურ ლუთერული საზოგადოებისათვის" – 25791.90 ლარი, ,,საქართველოს კარიტასისათვის" – 85226.93 ლარი, ერთად მოყვასისათვის - 62419.77 ლარი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება 63276.20 ლარი. აგრეთვე ბენეფიციართა შემფასებელი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის - 8616.00 ლარი.
ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (06 02 28)
საანგარიშო პერიოდში ხარჯები გაწეულია: 18 წლის ასაკის ზემოთ ქალაქ თბილისში მცხოვრები შშმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრების მომსახურებით, მომსახურების 20% თანადაფინანსება: ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი - **4 185.40** ლარი; ა(ა)იპ კავშირი ია - **5 273.40** ლარი; ა(ა)იპ ასოციაცია ანიკა - **7 299.80** ლარი; ა(ა)იპ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება - **7 514** ლარი; ა(ა)იპ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვების დახმარების ასოციაცია - **452.20** ლარი; ა(ა)იპ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა ასოციაცია - **7 459.60** ლარი; ა(ა)იპ სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრი აისი - **9 458.80** ლარი; ა(ა)იპ ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში - **4 950.40** ლარი; ა(ა)იპ მშობელთა ხიდი - **5 610** ლარი; ა(ა)იპ კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას, რომ საჭიროებენ - **16 666.80** ლარი; ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი - **1128.80** ლარი; ა(ა)იპ მშობლების თანადგომა - **778.60** ლარი;
ჯამში 12 დღის ცენტრი დაფინანსდა 70 777.80 ლარით

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (06 02 06 03)
პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ცალკეული სახეობების გათვალისწინებით, პროგრამის მონაწილე 13 სპორტული სკოლისა და 7 საცურაო აუზის მიერ წარმოდგენილი, შესრულებული სამუშაოს დაფინანსება.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (06 02 06 02)

პროგრამის ფარგლებში ხელოვნების სკოლებში სწავლის ღირებულება თითოეულ მოსწავლეზე ფინანსდება არაუმეტეს 40 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (06 02 06 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში ერთ ბენეფიციარზე სწავლების დაფინანსება (ა)აიპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისათვის შეადგენს არაუმეტეს 30 ლარს, ხოლო (ა)აიპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისათვის თვეში ერთ ბენეფიციარზე სწავლების დაფინანსება განისაზღვრება შემდეგი ოდენობებთ:

ა) მხატვრული კითხვა-არაუმეტეს 25 ლარისა;

ბ) საგნობრივი წრეები, მუსიკალური მიმართულება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება-არაუმეტეს 30 ლარისა;

გ) გიტარის შემსწავლელი წრე, სპორტული მიმართულება-არაუმეტეს 40 ლარისა;

დ) ქორეოგრაფიული სტუდია-არაუმეტეს 50 ლარისა;

მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მუშაობის ანგარიში კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს.

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტები განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე